განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე
„ამნისტიის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების, მათ შორის, გამოწვევების გათვალისწინებით, პერიოდულად, იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სასჯელისაგან მათი გათავისუფლების დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნისაკენ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმია აქტი ამნისტიის თაობაზე.

დღეის მდგომარეობით, ამნისტიის გამოცემის საკითხზე მსჯელობის აქტუალობას ძირითადად განაპირობებს ის გარემოება, რომ 100 000 მოსახლეზე პატიმართა რიცხოვნობის მიხედვით საქართველო ევროპის საბჭოს წევრ 46 ქვეყანას შორის ბოლოდან მეორე ადგილზეა და მხოლოდ თურქეთს უსწრებს.[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში პატიმართა რიცხოვნობა შეადგენდა 9542 პირს.[2] 2023 წელს პატიმართა რიცხოვნობა კვლავ მატებას განაგრძობდა და 9 868 პირი შეადგინა.[3] ამჟამად, პატიმართა რიცხოვნობა 10 400 პირს შეადგენს.

საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში პატიმართა უფრო მეტ რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამოწვევის დასაძლევად, მიზანშეწონილია, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში - ასევე დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღებით, საამისოდ აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაულისთვის ბრალდებული და მსჯავრდებული პირები გათავისუფლდნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, აგრეთვე დანიშნული სასჯელი შეუმცირდეთ ცალკეული დანაშაულების ჩადენისათვის მსჯავრდებულ პირებს, აგრეთვე პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა

---

[1] იხ. ევროპის საბჭოს 2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებული პენიტენციური სტატისტიკის ყოველწლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://infogram.com/incarceration-rates-across-europe-in-2023-1hxj48mmv881q2v?live

[2] იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

[3] იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika

შეუმცირდეთ პირობით მსჯავრდებულ და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირებს.

პატიმართა რაოდენობის საკითხზე ყურადღება აგრეთვე გამახვილებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში. სახალხო დამცველის გასცემს რეკომენდაციას საქართველოს მთავრობის მიმართ, რომ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად დაისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ[4].

აქვე, ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ გარემოებაზე:

ქვეყანაში ახალი კორონავირუსისის (COVID 19) გავრცელების გამო მომდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 23 აპრილის N5889-სს კანონით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდა იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისა (248[1] მუხლი) და საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის (359[1] მუხლით).

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 7 სექტემბრის N924-VIმს-Xმპ კანონით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, პირობითი მსჯავრისგან, სასჯელისგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისგან, გათავისუფლდა ის პირი, რომელმაც 2021 წლის 23 ივნისამდე ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.

2023 წლის 4 მაისს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) „COVID - 19“-თან დაკავშირებული გლობალური საგანგებო მდგომარეობა დასრულებულად გამოაცხადა.

დღეისათვის, როდესაც პანდემია უკვე დასრულებულია, იზოლაციისა და კარანტინის წესების, აგრეთვე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევაზე მკაცრი რეაგირება აღარ არის აქტუალური, რაც ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული ამნისტიას დაქვემდებარებული ქმედებების განსაზღვრისას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა

კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია, ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორიის სამართლებრივი

[4] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში - „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“.

მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების დამატებითი ბერკეტების შემოღების საჭიროებით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

კანონპროექტის მიღების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პატიმართა რაოდენობა, რასაც დადებითი ეფექტი ექნება არამხოლოდ პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, არამედ, აგრეთვე პენიტენციური სისტემის განტვირთვისა და აღნიშნულიდან გამომდინარე პატიმრობაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და მათთვის დანიშნული სასჯელის აღსრულების პროცესში ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის მეტად გათვალისწინების კუთხით.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით:

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე, მუხლით, 124-ე მუხლით, 152-ე მუხლით, 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღებისა), 197-ე მუხლის პირველი ნაწილით, 197^1 მუხლით, 203-ე მუხლის პირველი, მე-4 ან მე-5 ნაწილით, 207^2 მუხლით, 210-ე მუხლის პირველი ნაწილით, 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, 220^1 მუხლით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, 238-ე მუხლით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედებამ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია), 239-ე მუხლის პირველი ნაწილით, 243-ე მუხლის პირველი ნაწილით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა), 261-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის უკანონო წარმოებისა), ან მე-2 ნაწილით (გარდა ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო წარმოებისა), 265-ე მუხლის პირველი ნაწილით, 271-ე მუხლის პირველი ნაწილით, 273-ე მუხლით, 273^1 მუხლის პირველი–მე-5 ნაწილებით, 281-ე მუხლის პირველი ნაწილით, 287^1 მუხლის პირველი ნაწილით, მე-300 მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით, 301-ე მუხლის პირველი ნაწილით, 356-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით, 388-ე მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილით, 389-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 398-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.
- დაზარალებულის თანხმობით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, 126-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით, 1^1 ნაწილის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით, 1^2 ნაწილით (გარდა სისტემატური ცემისა) ან მე-2 ნაწილის (გარდა სისტემატური ცემისა) „ა“ ან „ლ“ ქვეპუნქტით, 170-ე მუხლის პირველი ნაწილით,

177-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 178-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით, 180-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 185-ე მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, 188-ე მუხლის პირველი ნაწილით, 192-ე მუხლის პირველი ნაწილით (გარდა იურიდიული პირის მიერ ჩადენის შემთხვევისა), 193-ე მუხლით, 196-ე მუხლით, 204^1 მუხლით, 208-ე მუხლით, 219-ე მუხლის პირველი ნაწილით, 240-ე მუხლის პირველი ნაწილით, 240^1 მუხლის პირველი ნაწილით, 276-ე მუხლის მე-2 ან მე-4 ნაწილით, 277-ე მუხლის პირველი ნაწილით ან 278-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

- დანიშნული სასჯელი უნახევრდება განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა, აგრეთვე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის გარდა), 261-ე მუხლის მე-3 ნაწილით (გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო წარმოებისა), 265-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ან მე-3 ნაწილით, 273^1 მუხლის მე-6 ნაწილით ან 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.
- დაზარალებულის თანხმობით, დანიშნული სასჯელი უნახევრდება განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით, 150-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა) პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ან 188-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-200 მუხლით, 200^1 მუხლის პირველი ნაწილით, 205^1 მუხლით, 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 218-ე მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილით ან 219-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.
- ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დაზარალებულის თანხმობით და შესაბამისი რისკის დამზღვევი მექანიზმის (დამცავი ორდერის) გამოყენებით, დანიშნული სასჯელი (მხოლოდ რეალური სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა) უნახევრდება განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1^1 ნაწილის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტით, 1^2 ნაწილით (გარდა სისტემატური ცემისა) ან მე-2 ნაწილის (გარდა სისტემატური ცემისა) „ა“ ან „ლ“ ქვეპუნქტით, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის პირველი ნაწილით ან მე-2 ნაწილის „ა“ ან „დ“ ქვეპუნქტით ან 126^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. კანონის პროექტის

მიხედვით, ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ამნისტიის გავრცელებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი თანხმობა, რომ პენიტენციური დაწესებულების დატოვებისთანავე, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მის მიმართ ძალადობის განმეორების რისკის შეფასების გარეშე, გამოცემული იქნეს დამცავი ორდერი იმ ვადით, რა ვადითაც პირს ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, თუმცა არაუმეტეს 9 თვისა. დამცავი ორდერით გასათვალისწინებელი შეზღუდვების ფარგლებს განსაზღვრავს მოსამართლე, რომელიც იმსჯელებს პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხზე.

- ერთი მეოთხედით უმცირდება დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო წარმოებისა, აგრეთვე ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნის გარდა), 261-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო წარმოებისა), 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ან 273^1 მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.
- დაზარალებულის თანხმობით, ერთი მეოთხედით უმცირდება დანიშნული სასჯელი განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედებამ ავადმყოფის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია), 133-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გარდა წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღებისა), 188-ე მუხლის მე-3 ნაწილით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედებამ გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა), 200^1 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 240^1 მუხლის მე-2 ნაწილით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედებას მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა), 243-ე მუხლის მე-2 ნაწილით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედებამ ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) ან 245-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედებამ გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა) გათვალისწინებული დანაშაული.
- ერთი მეექვსედით უმცირდება დანიშნული სასჯელი - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა პირს, რომელზეც არ ვრცელდება კანონის პირველი–მე-3 მუხლების მოქმედება, გარდა კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პროექტის თანახმად, დაზარალებულის თანხმობით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება, სასჯელის განახევრება ან ერთი მეოთხედით შემცირება. იმავდროულად, პროექტი განსაზღვრავს, რომ თუ პირი ვერ მოიპოვებს თანხმობას, მასზე მაინც

გავრცელდება დანიშნული სასჯელის შემცირება, თუმცა უფრო ნაკლები ოდენობით, კერძოდ ერთი მეექვსედით. ერთი მეექვსედით სასჯელის შემცირების წესი გამოიყენება მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ პროექტით გათვალისწინებულია დანაშაულთა ამომწურავი ჩამონათვალი (მუხლი 7), რომელზეც არ გავრცელდება ამნისტიის არცერთი მუხლის მოქმედება, მათ შორის, სასჯელის ერთი მეექვსედით შემცირების წესი.

- 1 წლით უმცირდება პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა პირს, რომელზეც არ ვრცელდება კანონის პირველი–მე-4 მუხლების მოქმედება და რომელიც 2024 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არის პირობით მსჯავრდებული ან პირობით ვადამდე გათავისუფლებული (გარდა ოჯახური დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა). გასათვალისწინებელია, რომ პირის მიმართ აღნიშნული შეღავათის გავრცელების პირობად მიჩნეულია არა მხოლოდ ის, რომ მას დანიშნული ჰქონდეს პირობით მსჯავრი ან ის პირობით ვადამდე იყოს გათავისუფლებული, არამედ იმავდროულად ისიც, რომ მის მიმართ არ იყოს გამოყენებული ამნისტია კანონის პირველი-მე-4 მუხლების საფუძველზე და იმავდროულად, მის მიმართ რეალურად იყოს დაწყებული სამართლებრივი აქტის აღსრულება პრობაციის სააგენტოს მიერ. კანონპროექტის აღნიშნული ჩანაწერი მიზნად ისახავს, რომ გამოირიცხოს ის შემთხვევები, როდესაც სასჯელის ნაწილის რეალურად, ხოლო ნაწილის პირობითად ჩათვლის შემთხვევაში, პირზე სხვადასხვა ნორმის საფუძველზე რამდენჯერმე შეიძლება გავრცელებულიყო ამნისტიით გათვალისწინებული სხვადასხვა შეღავათი. ასევე, აღსანიშნავია, რომ ოჯახური დანაშაულების შემთხვევაში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ პრობაციის რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულებს არ შეუმცირდეთ პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა და მათ მიმართ სრული ვადის განმავლობაში განხორციელდეს შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები, რათა მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, პირობითი მსჯავრისგან, სასჯელისგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისგან თავისუფლდება ის პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248^1 ან 359^1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

პროექტით გათვალისწინებულია დანაშაულთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება პირველი-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია.

პროექტით, ცალკეულ შემთხვევებში ამნისტიის გავრცელების პირობას წარმოადგენს განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლობის არქონა. ამავდროულად, ნარკოტიკული დანაშაულების შემთხვევაში, პროექტით გათვალისწინებულია განსხვავებული წესი, კერძოდ აღნიშნულია, რომ XXXIII თავით გათვალისწინებული

დანაშაულისთვის ნასამართლობა (გარდა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების ან მისი ანალოგის, ძლიერმოქმედი ნივთიერების, მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო გასაღებისა) არ ჩაითვლება პროექტით მითითებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე ამნისტიის გავრცელების დამაბრკოლებელ გარემოებად.

კანონპროექტის თანახმად, პირველი-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული ამნისტია გავრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც დანაშაული 2024 წლის 1 ივლისამდე ჩაიდინეს. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1] ან 359[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს, მათზე ამნისტია გავრცელდება 2021 წლის 23 ივნისიდან 2023 წლის 4 ივლისის ჩათვლით ჩადენის შემთხვევაში.

კანონპროექტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება, ოჯახური დანაშაულის გარდა, ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრს და გამოსაცდელ ვადაზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა. რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულებს, ამნისტიით გათვალისწინებულია მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული რეალური სასჯელის განახევრება ან ერთი მეექვსედით შემცირდება.

კანონპროექტით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხთან ერთად დარეგულირებულია „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების აღდგენის საკითხიც. შემოთავაზებული ინიციატივის თანახმად, ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენ პირებს, რომელზეც ვრცელდება ინიციირებული ამნისტიის მოქმედება, სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებასთან ერთად აღუდგებათ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული ზოგიერთი უფლება.

კანონპროექტი დეტალურად აწესრიგებს ამნისტიის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულების მიმართ კანონის დებულებების გავრცელების პროცედურებს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მისი ამოქმედება გამოქვეყნებისთანავე.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში. კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება

კანონპროექტით გათვალისწინებულია ცალკეული დანაშაულებისთვის ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ჰუმანურობის პრინციპით განპირობებული აქტის დროული აღსრულების უზრუნველყოფა. ამდენად, კანონპროექტით გათვალისწინებულია მისი ამოქმედება გამოქვეყნებისთანავე.

რაც შეეხება კანონის უკუძალას, ამნისტიის აქტის თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი ნორმები მოქმედებას იწყებს ძალაში შესვლის შემდეგ, თუმცა უშუალოდ რეგულირების სფეროს მიკუთვნებული დანაშაულები აუცილებლად ჩადენილი უნდა იყოს დროის გარკვეულ მონაკვეთამდე, რაც ყოველთვის წინ უსწრებს კანონის ამოქმედებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანას. წარმოდგენილი კანონპროექტი კი ითვალისწინებს ახალი კანონის მიღებას. შესაბამისად, კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა მოთხოვნილი არ არის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პროკურატურისთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საერთო სასამართლოებისთვის გამოყოფილი ასიგნებები. იმ პირთა საქმეების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, ვისაც შეეხება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, მოხდება საქართველოს პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საერთო სასამართლოების არსებული ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 248[1] მუხლით 2021 წლის 23 ივნისიდან 2024 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში განაჩენი გამოტანილია 10 ფიზიკური პირის მიმართ, რომელსაც 2021 წლის ამნისტია არ შეხებია. ამასთან, იურიდიული პირის მიმართ განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა. აღნიშნული 10 მსჯავრდებულიდან 8 პირს შეეფარდა პირობითი მსჯავრი, რომლის ფარგლებშიც 6 მსჯავრდებულს დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. არსებული მონაცემებით, ჯარიმა გადახდილი აქვს ერთ მსჯავრდებულს. შესაბამისად, სხვა მსჯავრდებული პირები აღარ გადაიხდიან ჯარიმის თანხას, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღების შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიზოგება ის სახსრები, რომელთა გაღებაც თითოეული ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნას უკავშირდება. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონაცემებით 1 პატიმრისთვის განსაზღვრული საშუალო წლიური ხარჯი შეადგენს 21 604 ლარს (აღნიშნული თანხა მოიცავს ყველა ტიპის ხარჯს, გარდა კაპიტალური ხარჯისა).

კანონპროექტი გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას. ამნისტიის აქტის შედეგად გარკვეული კატეგორიის პირები გათავისუფლდებიან პენიტენციური დაწესებულებებიდან და ამდენად, სახელმწიფო დაზოგავს აღნიშნული პირების სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას ასევე გამოიწვევს არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების კუთხით გასაწევი დანახარჯების დაზოგვა.

კანონპროექტის გავლენის მოცულობა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის შემცირებაზე დამოკიდებულია ამნისტიას დაქვემდებარებული დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირთა რიცხოვნობასა და მათთვის დანიშნული სასჯელის აღუსრულებელ ნაწილზე, რაც თითოეული მსჯავრდებული პირის შემთხვევაში შეიძლება განსხვავებული იყოს. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, დაზოგვის კუთხით, ამნისტიის აქტის გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება ცალკეულ დანაშაულებზე ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთათვის დაზარალებულის მიერ თანხმობის მიცემაზე, ასევე მათ წარსულ ნასამართლობაზე.

კანონპროექტს გავლენა ექნება საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს ხარჯებზე შემცირების კუთხით, რომლებსაც აღარ მოუწევთ გამოძიებისა და სასამართლოს სტადიაზე შესაბამისი საპროცესო ხარჯის გაწევა.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოებს შესაძლოა მოემატოს განსახილველ საქმეთა რაოდენობა, რაც დაკავშირებული

იქნება გარკვეულ ადმინისტრაციულ ხარჯებთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის აღსრულება არ გამოიწვევს დამატებითი საბიუჯეტო ხარჯებს, რადგან მისი აღსრულება მოხდება არსებული ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით შესაბამისი უწყებებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა

კანონპროექტს გავლენა ექნება იმ პირებზე, რომლებსაც ამნისტიის ამოქმედების შემდეგ აღუდგებათ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩამორთმეული უფლებები, მათ შორის სხვადასხვა სფეროში საქმიანობის უფლება, რასაც ამ კატეგორიის პირებისთვის შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ფინანსური შედეგი.

კანონპროექტის მიღება დადებით ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ მსჯავრდებულთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებსაც სისხლის სამართლის კოდექსის 248[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის დაეკისრათ ჯარიმის გადახდა, ვინაიდან ისინი გათავისუფლდებიან დაკისრებული ჯარიმის აღუსრულებელი ნაწილისგან. არსებული ინფორმაციით ასეთია ხუთი მსჯავრდებული.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (*ფულადი შენატანის*) დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე გაუმჯობესების კუთხით, იმ მოცულობით, რა მოცულობითაც არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებზე შეიძლება გავრცელდეს კანონის მოქმედება.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავების პროცესში კონსულტაციები იქნა გავლილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი

ფრაქცია „ქართული ოცნება“ და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

ფრაქცია „ქართული ოცნება“